

საკანონმდებლო წინადადება
(წარმოდგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის
105-ე მუხლის გათვალისწინებით)

ცვლილების სახეობა: საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

საკითხი - სახელმწიფო გერბზე არსებული წარწერის ჩანაცვლება. კანონის პროექტის დასაბუთება: ამ იდეის შესახებ ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფო გერბზე „ძალა ერთობაშია“-ს წარწერის გაკეთების დროსაც ახლო ნათესავებთან და მეგობრულ წრეშიც არაერთხელ განხილულა (ალბათ ჩემს მსგავსად ბევრს წარმოეშვა მსგავსი აზრი), ჩემი გარემოცვის ფარგლებში პერიოდულად წამოიწევდა კიდევ ცვლილების სურვილი, იმდენად ხშირად, რომ უკანასკნელად ყოფილ კოლეგასთან შეხვედრისას თუ ნათესავთან აგარაკზე (სოფელში) აქეთ წამომიწია ეს საკითხი. ახლანდელი თაობისა არ ვიცი, მაგრამ ჩემი და წინა თაობის საქართველოს მოსახლეობისათვის, ვეფხისყაოსანი იყო სიყვარულის და მეგობრობის ზნეობრივი მაგალითების მომცემი, ვარჩევდით და ვიზეპირებდით მის სტროფებს, ზოგმა პოემა მისი სიყვარულით



სრულად დაისწავლა კიდევ. საუკუნეების წინ - ვეფხისყაოსანს მზითევშიც კი ატანდნენ (მისი ღირებულებიდან გამომდინარე). ნებისმიერი დამეთანხმება, რომ იგი არა მარტო ჩვენის ქვეყნის ყველაზე დიდი საგანძურია, არამედ მსოფლიო კულტურის ნაწილია. მართალია - თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 2015 წლიდან შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, თუმცა, ვფიქრობ, ეს ქმედება არ არის შესატყვისი (თუგინდ მას ალექსანდრე ქართველის ან პირველი ქართველი ჰაერნაოსანი (ვლადიმერ გარაყანიძე) სახელის მინიჭება, ან თუგინდ ერთ-ერთი პირველი ქართველი სამხედრო მფრინავი სახელის (გრიგოლ მალაშხია, ბორის ბერიძე, ჯიმშერ მაისურაძე, ნიკოლოზ მაყაშვილი, პროკოფი კილტავა და სხვ.) ტარება, პირველი


ქართველი მფრინავ-კონსტრუქტორის, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ფუძემდებლის (ბესარიო ქებურია) სახელის ტარება - რაც თემატური იქნებოდა (საბედნიეროდ ჩვენ გვყავს ბევრ სფეროში სახელგანთქმული ქართველი - მათი საგმირო საქმეთა შესახებ მომავალ თაობებს აუცილებლად უნდა გადავცეთ - თუგინდ

მათი სახელის მიკუთვნებით), შოთა რუსთაველის სახელი კი - უფრო დიდ მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებით აღვნიშნოთ. რა თქმა უნდა - ერთ-ერთ სახელმწიფო პრემიად - რუსთაველის სახელის განსაზღვა ან თუგინდ 100 ლარიან კუპიურაზე მისი გამოსახვა ჩვენი ეროვნული სიმდიდრის წარმოჩინებას ნამდვილად უწყობს ხელს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი. მისი გენიალური პოემა იმდენად ზნეობრივად ამაღლებულ მაგალითებს გვამლევს, რომლის გამოხატვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს მოწოდებადაც უნდა იქცეს. სწორედ, რომ ამ წინადადებით მინდა გამოვხატო სურვილი სახელმწიფო სიმბოლიკაზე, კერძოდ კი - სახელმწიფო გერბზე ასახული დევიზის შესატყვისად შერჩევის შესახებ, რამეთუ ის უნდა იყოს სახელმწიფოს ისეთი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს წარმოაჩინოს სახელმწიფოს იდეალები და რწმენა.


ამასთან, ჩემი ყოფილი კოლეგების თუ ახლო ნათესავების რჩევით, მოცემულ თემატიკაზე მსჯელობის ფარგლებში, ასევე გავეცანი ზოგიერთ სახელმწიფოთა დევიზებს და ნიმუშის სახით წარმოგიდგინოთ არაოფიციალურ ვებ გვერდებზე¹ მოცემულ ზოგიერთ ჩანაწერს (ოფიციალურ ვებ გვერდებზე გადამოწმებას ვფიქრობ, რომ მოცემულ ეტაპზე არ დგას - თუმცა, აღვნიშნავ, რომ რუსთაველის ფრაზა - განსხვავებული და თვალსაჩინო იქნება სხვა დევიზებს შორისაც, არამარტო მისი შინაარსობრივი დატვირთვით, არამედ სავარაუდოდ მისი ხანდაზმულობითაც და კულტურული ღირებულებითაც):

 **Armenia:** *One Nation, One Culture*


 **Azerbaijan:** No official motto. Unofficial: *The Land of Fire*

 **Turkey:** No official motto. Motto of the Parliament of Turkey: *Sovereignty unconditionally belongs to the People /*

How happy is the one who says I am a Turk!


 **Belgium:** *Unity makes strength/* Unity Gives Strength

 **Bolivia:** *Unity makes strength*

 **Bulgaria:** *Unity makes strength*

















 **Serbia:** No official motto. Unofficial: *Only Unity Saves the Serbs*

 **Andorra** Strength United Is Stronger

 **Angola** Strength United Is Stronger

¹ <https://www.flagpictures.com/countries/national-motto/>

Malaysia unity is strength

-  **Austria:** The future is in our hands, Austria is in our hearts/
It is Austria's destiny to rule the whole world
-  **France:** *Liberty, equality, fraternity*
-  **Germany:** No official motto, *de facto: Unity and justice and freedom*
-  **Greece:** *Freedom or Death*
-  **Hungary:** Currently no official motto. Formerly *With God for Homeland and Freedom*
-  **Ireland:** No official motto. Historical use: *Ireland forever*
-  **Israel:** No official motto. Unofficial: *If you will it, it is no dream*
-  **Lithuania:** No official motto. *Freedom, Unity, Prosperity*
-  **Luxembourg:** *We wish to remain what we are*
-  **Monaco:** *With God's help*
-  **Netherlands:** *I will maintain*
-  **Norway:** No official motto. Royal motto of Harald V: *Everything for Norway*
-  **Poland:** No official motto. Unofficial mottos of Poland include: *For our freedom and yours*
-  **Portugal:** *This is my blissful beloved homeland*
-  **Romania:** No official motto. Formerly *Nothing without God*
-  **Ukraine:** No official motto. *Glory to Ukraine! Glory to the heroes!*



Switzerland One for all, all for one



Japan - Let the rising sun bloom



Uzbekistan - The Strength Is In Justice

Indonesia - Unity in diversity

სწორედ, რომ მოცემული წინადადება სახელმწიფო გერბში კორექტირებების შეტანის აუცილებლობას უკავშირდება. ამ წინადადებით არ შევხებით ისეთ დეტალებს - როგორცაა საპატრიარქოს გერბისგან (ხატებისგან, ფრესკებისგან) განსხვავებით, წმინდა გიორგის შებრუნებული ფორმით გამოსახვას ან ბურგუნდიის მეფის მსგავსი გვირგვინის გამოსახვას (შედარებისთვის სასურველია დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ან სხვა სახელგანთქმული მეფეების ფრესკებზე დაყრდნობა), არამედ გერბის საფუძველზე გამოფენილ სადივიზე ბაფთაზე არსებულ წარწერაზე - „ძალა ერთობაშია“. რამდენადაც ვიცი იგი მომდინარეობს სულხან-საბა ორბელიანის იგავ არაკიდან (მსგავსი დევიზი აქვთ თუ არ ვცდები რამდენიმე სხვა სახელმწიფოს) და მისი დაკავშირება საქართველოსთან გამომდინარეობდა იქიდან, რომ ერთიანობის პრობლემა უცხო არ იყო ქართული სახელმწიფოსათვის. ალბათ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ ძალის თუ ძლიერად ყოფნის იდეით ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების ვერ მივიქცევთ², აუცილებელია ღირებულებების შეთავაზება, რომელიც დაუკავშირდება თანასწორობას, სიყვარულს ერთგულებას თუ მეგობრულ თანაცხოვრებას (ზნეობრივი ელემენტებით შესხენება არა მათი ყურადღების მიქცევა, არამედ უკვე ჩვენც გვჭირდება - ამის მაგალითია ის აგრესია, რომელიც ჩვენში ყოველდღიურობაში ვლინდება). თუ ასეთმა ღირებულებების გამოხატულებამ შეაკავშირა თამარ მეფის მეფობის პერიოდში საქართველოში მცხოვრები პირები, რატომ ვერ იმოქმედებს პოზიტიურად იგი დღესაც?! სწორედ, რომ ჩემი შემოთავაზებაა, რომ ნაცვლად - „ძალა ერთობაშია“-ს ნაცვლად სახელმწიფო გერბზე ავსახოთ შოთა რუსთაველის გენიალური პოემიდან ერთ-ერთი ფრაზა/ აფორიზმი. ჩემის მხრივ ამოკრებილ იქნა რამდენიმე მათგანი, თუმცა - მათ შორისაც ზოგიერთს სახელმწიფოებრივ სიბრტყეში განხილვის დროს უპირატესობას ვანიჭებ (ასეთები დამუქებულია/ დაბოლდებულია). ის თუ რომელი უფრო მეტად საჭირობს, რომ წარმოვაჩინოთ ჩვენს ძირითად დევიზად (სიკეთის თუ სიმართლის/ სამართლიანობის ძალა, მეგობრობა თუ მოყვარეობა, სახელოვანი სიცოცხლე თუ ღირსება, თანასწორობა და ა.შ.) - ალბათ ამისთვის სპეციალისტების მხარდაჭერაც იქნება საჭირო. აქვე, მოცემული აფორიზმებით - ხაზს გავეუსმევთ ასევე ჩვენს ძირმველ ღირებულებებზე, რომლითაც დღევანდელი ევროპული სამყარო ასე მიმზიდველი ხდება დანარჩენი მსოფიოსათვის. ამ დევიზმა ყურადღება უნდა მიიყპრობს არა მხოლოდ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს შორის, არამედ უცხო სახელმწიფოების თუ მათი მოქალაქეებისაც - რათა

² გასათვალისწინებელია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ზოგიერთ ოსს, იგი დავით სოსლანის დაწერილად მიაჩნია (რამდენადაც პრესის ფურცლებიდან გავეცანი ცხინვალელი პოეტი სურატ ჯიჯოითი აღნიშნულს ამტკიცებს). ზემოხსენებული გამოხატული (მცდარი) ვარაუდის პირობებში, აფორიზმის სახელმწიფო გერბზე დატანის შემთხვევაში, ნამდვილად მიიქცევს მინიმუმ ზემოხსენებული პირთა (არაა ნაგულისხმები ნეგატიური) ყურადღებას.


თვალსაჩინო გახდეს თუ რისკენ მიისწრაფვის უპირველეს ყოვლისა საქართველოს სახელმწიფო. მაგალითად:

1. ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!
2. რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია!
3. ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია!
4. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი!
5. თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები!
6. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!³

კიდევ ერთხელ ავლნიშნავ, რომ მე ვერ ვკადრებ ამ განცხადების განმხილველ პირებს - რომელთაც სავარაუდოა ჩემზე ბევრად უკეთ ესმოდეთ თითოეული ფრაზის მნიშვნელობა, მითუმეტეს თუ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს წევრთა თუ სხვა სპეციალისტთა ჩართულობა საჭირო გახდება, თუმცა, საჭიროებისამებრ, წინადადების განხილვის ეტაპზე, მოთხოვნისამებრ მზად ვარ წარმოვადგინო - დამატებითი მასალა (სახელმძღვანელოები თუ ვიდეო ლექციები/ გადაცემები), რომელიც დაეხმარება კომიტეტის წევრებს ზემოხსენებული 6 აფორიზმიდან ერთ-ერთის უფრო მეტი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით შერჩევაში. შესაბამისად, ზემოხსენებული იდეის/ ინიციატივის გაზიარების შემთხვევაში, შესატანი იქნება ცვლილება სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, ისევე, როგორც ამ კანონის მე-3 დანართით დამტკიცებული გერბის (სადივიზე ბაფთის მხრივ) აღწერილობაში.

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი
ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [REDACTED] მობ.: [REDACTED]
ელ. ფოსტა [REDACTED] რეგისტრაციის
ადგილი: [REDACTED]

21/02/2024



Nikoloz
Nikoladze
01008015820

Digitally signed by
Nikoloz Nikoladze
Date: 2024.02.21
13:08:07

³ ჩემს ერთ-ერთ წინადადებას წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებს საქართველოს კანონმდებლობით მიეცეთ პასიური საარჩევნო უფლება.